“უნია” – “დინამო” (თბილისი)

28 ოქტომბერს, ქ. ვროცლავში, პოლონეთის ყველაზე დიდ, ოლიმპიურ სტადიონზე გაიმართა საბჭოთა ფეხბურთელების პირველი გამოსვლა. 80.000 მაყურებელი გულთბილად მიესალმა თბილისის “დინამოს, რომელიც ამ დროს შეხვდა პოლონეთის 1951 წლის თასის მფლობელს – პროფკავშირთა ნაკრებ გუნდს “უნიას”.

მატჩმა თავიდან ბოლომდე მწვავე ბრძოლაში ჩაიარა.

თამაშის პირველ ნახევარს შედეგი არ მოუცია.

მეორე ტაიმში “უნიას” თავდამსხმელებმა ისარგებლეს თბილისელ მცველთა უყურადღებობით და ანგარიში გახსნეს. უკანასკნელი 15 წუთის განმავლობაში თამაში მთლიანად პოლონელთა გუნდის ნახევარზე მიმდინარეობდა. და აი, კომბიანცია ვარდიმიადი–გაგნიძე–ანთაძე გოლით აღინიშნა. საინტერესო თამაში დამთავრდა ფრედ – 1:1.

მატჩს სჯიდა საბჭოთა მსაჯი ნ. ჩხატარაშვილი.

2 ნოემბერი 1951 წ.